პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

---თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედნისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის და დიდუბის რაიონებში, ვაგზლის მოედანს მიენიჭოს სადგურის მოედნის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1 : 3902
გეოგრაფიული (გრძედი,გან

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი:**03-032405848**
თარიღი: **27/02/2024**

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ქალბატონო ეთერ,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საქართველოს ფოსტის წარმომადგენლის ზეპირი მომართვის საფუძველზე დამუშავდა ინფორმაცია თბილისში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ არსებული მოედნის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

როგორც დგინდება, მოედანი ატარებს "ვაგზლის მოედნის" სახელს.

კომისიამ იმსჯელა ხსენებულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული გეოგრაფიული ობიექტისთვის სადგურის მოედნის სახელის მინიჭება.

გიგზავნით მოენის სიტუაციურ ნახაზს და გთხოვთ, მიიღოთ შესაბამისი სომები კომისიის გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)